GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 45
თარიღი: 10 02 2015 წ.

GRASS FACTCHECK

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების რაოდენობა;
- რომელი წლიდან დაიწყო ქართული მხარის მიერ აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების პროცესი;
- უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების პროცესში ჩართული არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ქართული მხარის მიერ აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების პროცესში განხორციელებული ღონისძიებები 2003 წლიდან;
- ქართული მხარის მიერ აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების მიზნით დადებული ხელშეკრულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული პიროვნების იდენტიფიცირების შემთხვევების რაოდენობა 2003 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით ცალ-ცალკე);

პატივისცემით,

პაატა გაფრინდაშვილი
საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) დირექტორის მოადგილე

საქართველოს რეფორმების ასოციაცია GRASS NNLE Georgia's Reforms Associates 406077579

მისამართი:
თბილისი, მიცკევიჩის 27, ბინა 1.

საკონტაქტო პირი: ნინო ტურიაშვილი

ტელ: 598 62 05 93 e-mail: n.turiashvili@factcheck.ge